USAID
ამერიკელი ხალხისგან
PH international
ADVANCING SOCIETIES, CONNECTING PEOPLE
ctc Empowering People for Change

საინფორმაციო ბიულეტენი სამოქალაქო განათლების პედაგოგთა ფორუმისათვის

მარტი 2012

გამოიცემა „სამოქალაქო განათლებისა და პედაგოგთა გადამზადების პროგრამის“ ფარგლებში

ძვირფასო მკითხველო,

თქვენს წინაშეა სამოქალაქო განათლების პედაგოგთა ფორუმის საინფორმაციო ბიულეტენის პირველი ნომერი. იგი გამოიცემა სამოქალაქო განათლების პედაგოგთა ფორუმისათვის კონსულტაციისა და ტრენინგის ცენტრის CTC-ს მიერ სამოქალაქო განათლებისა და პედაგოგთა გადამზადების პროგრამის ფარგლებში. პროგრამას ახორციელებს ორგანიზაცია PH International ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) ფინანსური მხარდაჭერით. პროგრამას მხარს უჭერს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო. გამომცემლებს დიდი იმედი აქვთ, რომ ბიულეტენი დააინტერესებს და დაეხმარება სამოქალაქო განათლების პედაგოგებს, აგრეთვე სამოქალაქო განათლების ექსპერტებს ფორუმის მუშაობის და ზოგადად, სკოლებში სამოქალაქო განათლების შესახებ ინფორმაციის მიღების, გამოცდილებათა ურთიერთგაზიარების თვალსაზრისით. გარდა ამისა შესაძლებლობას მისცემს მათ, გამოხატონ საკუთარი შეხედულებები, მოსაზრებები, პრაქტიკულ საქმიანობაში მიღწეული წარმატებები. ბიულეტენი სამ თვეში ერთხელ გამოიცემა ბეჭდური სახით. მისი ელექტრონული ვერსია კი განთავსდება პორტალზე: www.civics.ge.

ბიულეტენი ღიაა თანამშრომლობისთვის. მოხარული ვიქნებით, მივიღოთ თქვენი გამოხმაურებები.

გამომცემლები

დღეს ნომერშია:

- ფორუმის შესახებ
- ფორუმის პირველი გამოფენა-კონფერენცია
- წლის საუკეთესო პედაგოგთა დაჯილდოება
- ტრენინგები დემოკრატიული მოქალაქეობის სწავლებისათვის
- რესურსები | წიგნები
- სამოქალაქო განათლებისა და პედაგოგთა გადამზადების პროგრამის სხვა აქტივობები
- 25 თებერვლის სამოქალაქო განათლების პედაგოგთა ფორუმის კონფერენციის რეკომენდაციები
- ვსწავლობთ და ვასწავლით – *რედაქტორისაგან*
- იცნობდეთ: ფორუმის კომიტეტის წევრები და რეგიონალური კოორდინატორები

სამოქალაქო განათლების პედაგოგთა ფორუმის ხედვაა ისეთი სკოლა, რომელიც დემოკრატიული მოქალაქეობის სწავლისა და განვითარების ქმედით გარემოს უზრუნველყოფს. ფორუმის მისიაა სამოქალაქო განათლების პედაგოგთა შესაძლებლობების განვითარება და მათი საქმიანობის მხარდაჭერა.

ღირებულებები კი, რომლითაც ფორუმი დასახული მიზნების მისაღწევად ხელმძღვანელობს, შემდეგია:

- ✓ დემოკრატია და მონაწილეობა
- ✓ გახსნილობა და თანამშრომლობა
- ✓ თანადგომა და თანასწორობა
- ✓ პროფესიონალიზმი და უწყვეტი განვითარება
- ✓ პასუხისმგებლობა და კეთილსინდისიერება.

სამოქალაქო განათლების პედაგოგთა ფორუმის შესახებ

სამოქალაქო განათლებისა და პედაგოგთა გადამზადების პროგრამის (ACETT) ფარგლებში 2011 წლის 24 ივნისს სამოქალაქო განათლების პედაგოგთა ფორუმი დაფუძნდა. ის ღიაა სამოქალაქო განათლების საკითხებით დაინტერესებული პედაგოგებისა და სკოლის ადმინისტრაციის წარმომადგენლებისათვის და მათ არარეგისტრირებულ ქსელს წარმოადგენს.

ფორუმი დღეს 364 პედაგოგს აერთიანებს და მათი შესაძლებლობების ხელშეწყობას ისახავს მიზნად, რათა სკოლა დემოკრატიული მოქალაქეობის სწავლების და განვითარების გარემოდ აქციოს. სკოლა ხომ ის ადგილია, სადაც მოზარდი არა მხოლოდ ზოგად საყოველთაო განათლებას იღებს, არამედ პიროვნებად, მომავლის მოქალაქედ ყალიბდება და რაც უფრო ადრე და მიზანმიმართულად ვიზრუნებთ ამაზე, მით უფრო აქტიურ, ქმედით, საზოგადოებრივ ცხოვრებაში ჩართულ პიროვნებებად მოგვევლინებიან ისინი დამოუკიდებელი ცხოვრების გზაზე.

ფორუმის პირველი გამოფენა – კონფერენცია

2012 წლის 25 თებერვალს თბილისში, ივენტ ჰოლში გაიმართა სამოქალაქო განათლების პედაგოგთა ფორუმის წლიური კონფერენცია-გამოფენა, რომელიც ფორუმის პირველი მასშტაბური ღონისძიებაა. მისი მიზანი ერთის მხრივ, სამოქალაქო განათლების სფეროში სიახლეებისა და ინოვაციების შესახებ ინფორმაციის გავრცელება, ფორუმის წევრ მასწავლებელთა შორის გამოცდილების გაზიარება და პროფესიული განვითარების ხელშეწყობაა, ხოლო მეორეს მხრივ – საზოგადოებაში და საგანმანათლებლო სისტემაში სამოქალაქო განათლების მასწავლებლის პრესტიჟის გაზრდა.

ღონისძიება სამოქალაქო განათლებისა და პედაგოგთა გადამზადების პროგრამის ფარგლებში PH International-ისა და კონსულტაციისა და ტრენინგის ცენტრის CTC-ის ორგანიზებით გაიმართა. **კონფერენცია გახსნა სამოქალაქო განათლებისა და პედაგოგთა გადამზადების პროგრამის დირექტორმა მარინა უშვერიძემ.** მისასალმებელ სიტყვაში მან აღნიშნა პროგრამის მიზნები და მნიშვნელობა დემოკრატიული პროცესების განვითარებაში, ახალგაზრდების სრულფასოვან მოქალაქეებად აღზრდის და საზოგადოებრივ ცხოვრებაში მათი აქტიურად ჩართვის საქმეში და სიტყვა კონფერენციის საპატიო სტუმრებს გადასცა.

აშშ საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) კავკასიის მისიის დირექტორი სტივენ ჰეიკინი გულითადად მიესალმა კონფერენციის მონაწილე პედაგოგებს და მათი მონდომება და დამსახურება პროგრამის წარმატებით მიმდინარეობაში განსაკუთრებით აღნიშნა. ბატონმა ჰეიკინმა თავის გამოსვლაში ხაზი გაუსვა სამოქალაქო განათლების როლს დემოკრატიული სახელმწიფოს შენების პროცესში მით უფრო მაშინ, როცა ქვეყანა მნიშვნელოვანი პოლიტიკური მოვლენების – არჩევნების მოლოდინშია. წინა საარჩევნო პერიოდშიც და შემდგომაც საზოგადოების აქტივობას და მოქალაქეთა ჩართულობას საზოგადოებრივ ცხოვრებაში გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს. ამიტომ რაც უფრო მომზადებული იქნება მოსახლეობა, პოლიტიკური პროცესებიც უფრო სრულფასოვნად და სამართლიანად წარიმართება. მან რამდენიმე წარმატებული მაგალითიც დაასახელა სამოქალაქო განათლებისა და

პედაგოგთა გადამზადების პროგრამის ფარგლებში საქართველოს რეგიონებში განხორციელებული აქტივობებიდან, რომელთა შედეგები ნათლად მეტყველებენ ამგვარი პროექტების სიკეთეზე. პროგრამის მონაწილე სკოლებს და პარტნიორ ორგანიზაციებს ბატონმა ჰეიკინმა კვლავაც წარმატებები უსურვა და ამერიკის მთავრობის და USAID-ის სახელით მხარდაჭერა და თანადგომა მომავალშიც აღუთქვა.

საქართველოს განათლების და მეცნიერების სამინისტროდან კონფერენციის მონაწილეებს მინისტრის მოადგილე ირინე ქურდაძე მიესალმა. მან სამოქალაქო განათლების ხელშეწყობა სამინისტროს ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრიორიტეტად დაასახელა. აღნიშნა, რომ ამ მიმართულებით მნიშვნელოვნად დაიხვეწა და გადამუშავდა ახალი სასწავლო ეროვნული პროგრამა, რაშიც მონაწილეობა სამოქალაქო განათლების კუთხით დაინტერესებულმა და სათანადო გამოცდილების მქონე ექსპერტებმა მიიღეს, ჩართული იყვნენ აგრეთვე საზოგადოებრივი და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები. მნიშვნელოვანი ცვლილებები შევიდა მეცხრე და მეათე კლასების სამოქალაქო განათლების სახელმძღვანელოებში, სექტემბრიდან კი 7-12 კლასების ეროვნული სასწავლო გეგმის იმპლემენტაცია დაიწყება. ახალი სახელმძღვანელოების შესაქმნელად გამოცხადდა კონკურსი, რომლის შედეგადაც სკოლებში სამოქალაქო განათლების ხარისხიანი სწავლებისათვის საბაზისო სახელმძღვანელოები შეიქმნება. სამინისტრო მზად არის აგრეთვე პრაქტიკული დახმარება აღმოუჩინოს სკოლებს სამოქალაქო ცნობიერების განვითარებაზე ორიენტირებული პროექტების განხორციელებაში.

კონფერენციის მონაწილეებს მიესალმა და წარმატებული მოღვაწეობა უსურვა კონსულტაციისა

და ტრენინგის ცენტრის (CTC) ხელმძღვანელმა ირინე ხანთაძემ. მან პროგრამის ფარგლებში CTC-ს მიერ შემუშავებული სპეციალური ტრენინგ-პროგრამის შესახებ ისაუბრა და ფორუმის კომპონენტში გაწეული პარტნიორული თანამშრომლობის საკითხებს შეეხო.

კოლეგებს მიესალმა და ახალგაზრდების სამოქალაქო განათლების საქმეში სკოლისა და მასწავლებლის როლზე ისაუბრა **ფორუმის კომიტეტის წევრმა სამოქალაქო განათლების პედაგოგმა ლიანა ღუღუნიშვილმა.**

სამოქალაქო განათლების სწავლების კარგი პრაქტიკული მაგალითები, საკუთარი სასკოლო სამოქალაქო კლუბების მიღწევები და გამოცდილება გაუზიარეს კონფერენციის მონაწილეებს **ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფელ ჩიბათის საჯარო სკოლის სამოქალაქო განათლების პედაგოგმა ვლადიმერ აფხაზავამ, თბილისის აკადემიკოს ილია ვეკუას სახელობის ფიზიკა-მათემატიკის 42-ე საჯარო სკოლის პედაგოგმა მაკა ბიბილეიშვილმა და ამავე სკოლის მოსწავლემ სულხან ჩარგეიშვილმა.**

წარმატებული მაგალითების, კლუბების მიერ განხორციელებული აქტივობების და სკოლების გამოცდილების ვიზუალური ჩვენება-დათვალიერება შედგა პედაგოგთა და მოსწავლეთა ნამუშევრების გამოფენაზე, რომელშიც ქვეყნის 9 რეგიონიდან წარმოდგენილი სკოლები და სასკოლო სამოქალაქო კლუბები მონაწილეობდნენ. გამოფენა კონფერენციის მონაწილეთათვის თემატურადაც და სანახაობრივადაც მრავალფეროვანი და საინტერესო აღმოჩნდა.

პრაქტიკული სამუშაო ქვეჯგუფებისათვის

კონფერენციის მონაწილე პედაგოგები შემდეგ ოთხ ჯგუფად დაიყვნენ და სამოქალაქო განათლების საგნის სწავლების გაუმჯობესების რეკომენდაციებზე იმსჯელეს. სკოლებში არსებული მდგომარეობის ურთიერთგაზიარების შედეგად გამოიკვეთა პრობლებემები, რომელიც სამოქალაქო განათლების პედაგოგებისათვის ყველა რეგიონში მეტ-ნაკლებად ერთნაირი აღმოჩნდა. პრობლემებზეც და რეკომენდაციებზეც თითოეულმა ქვეჯგუფმა ცალ-ცალკე იმუშავა და მათგან მთავარი, ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხები გამოკვეთა. ოთხივე ჯგუფის ორსაათიანი პრაქტიკული მუშაობის შედეგები კონფერენციის მონაწილეებს **პედაგოგთა გადამზადების პროგრამის კოორდინატორმა თეა ლობჟანიძემ გააცნო.** მოგვიანებით, 29-30 მარტს, ფორუმის კომიტეტმა თავის მორიგ შეხვედრაზე სფეროში საჭიროებათაგან განსაკუთრებით აქტუალური და განსახორციელებლად შესაძლებელი საკითხები გამოკვეთა და მათი გადაჭრის გზებიც დასახა (იხ. VIII გვერდი).

სამოქალაქო განათლებისა და პედაგოგთა გადამზადების პროგრამის შედეგების შესახებ კონფერენციის პლენარულ სხდომაზე პროგრამის დირექტორმა მარინა უშვერიძემ ისაუბრა.

მან დამსწრეთ ფორუმის მიერ წელიწადნახევრის განმავლობაში გაწეული საქმიანობის, განხორციელებული აქტივობების, მიღწეული შედეგების და მომავალში დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ მოუთხრო და სასკოლო სამოქალაქო კლუბების მიერ პროგრამის ფარგლებში მოპოვებული წარმატებული მაგალითები მოიხმო, როგორიცაა:

სამცხე-ჯავახეთში ადგილობრივი თვითმმართველობის ხელშეწყობით სამოქალაქო განათლების სწავლების საჭიროებებისათვის ადგილობრივ ბიუჯეტში გამოიყო თანხები;

კახეთში, სოფელ გიორგეთში სასკოლო სამოქალაქო კლუბის ინიციატივითა და ადგილობრივი თვითმმართველობის ხელშეწყობით გაკეთდა გზა ფეხით მოსიარულეთათვის;

ეწყობა გამოფენები სოციალურად დაუცველი თანატოლების დასახმარებლად და ა.შ.

მომხსენებელმა გამოთქვა იმედი, რომ ასეთი მიღწევები სხვა კლუბებისთვის და სკოლებისთვისაც მისაბაძი იქნება და მათ მეტ აქტიურობას, ჩართულობას და რეალურ დაინტერესებას გამოიწვევს საგნის არა მხოლოდ თეორიული სწავლების, არამედ საზოგადო ცხოვრებაში პედაგოგთა და მოსწავლეთა პრაქტიკული მონაწილეობის თვალსაზრისით.

სამოქალაქო განათლების პედაგოგთა პროფესიული განვითარების საკითხებს შეეხო თავის გამოსვლაში სამოქალაქო განათლების ექსპერტი გიორგი გახელაძე.

მან საინტერესოდ მიმოიხილა სამოქალაქო განათლების საფუძვლები და საჭიროებები საქართველოში, ისაუბრა პედაგოგთა გადამზადების პროგრამაზე და მათი პროფესიული განვითარების ტენდენციებზე ჩვენში, აგრეთვე სამოქალაქო განათლების სახელმძღვანელოთა გადამუშავების თემატიკაზე.

არასამთავრობო ორგანიზაცია „საბჭოთა წარსულის კვლევის ლაბორატორია – სოვლაბის" წარმომადგენლის დავით გოგიშვილის პრეზენტაცია კი საბჭოთა წარსულის კვლევის მათეულ პრაქტიკას მიეძღვნა.

კონფერენციის მონაწილეებს მომხსენებელმა ორგანიზაციის პროგრამა, ხედვა და მისია გააცნო. ორგანიზაციას სურს, ხელი შეუწყოს საბჭოთა ტოტალიტარული წარსულის შესწავლას, საბჭოთა მემკვიდრეობის პოლიტიკური, სამართლებრივი და მორალური პასუხისმგებლობის გააზრებას და ამ ფონზე შექმნას თავისუფალი სააზროვნო და სადისკუსიო სივრცე დემოკრატიული განვითარებისათვის. ისაუბრა უკვე განხორციელებული პროექტების შესახებ, რომელთა შორისაა: **„წითელი ტერორის ტოპოგრაფია", „ვირტუალური პლატფორმა: საბჭოთა წარსულის გააზრება", „საბჭოთა თბილისი", „საზოგადოებრივი არქივი" და სხვა.** აღსანიშნავია, რომ ორგანიზაციამ შექმნა ახალი საგანმანათლებლო ტურები: **საბჭოთა თბილისი და წითელი ტერორის ტოპოგრაფია.** ისინი მოიცავს თბილისის საბჭოთა ისტორიასთან დაკავშირებულ 20-მდე არქიტექტურულ ობიექტს, ადგილს თუ მოვლენას, რომელიც ასახავს საბჭოთა ყოფას. მოსახლეობის უმეტესი ნაწილისთვის უცნობია იმ კონკრეტული სახლების ადგილმდებარეობა, სადაც განთავსებული იყო სტალინურ ტერორთან და რეპრესიებთან დაკავშირებული სახელმწიფო დაწესებულებები; შენობები, რომელშიც ცხოვრობდნენ და საიდანაც გაჰყავდათ რეპრესირებულები; ცნობილი და უცნობი ჯალათების სახლები.

საბჭოთა წარსულის კვლევის ლაბორატორია დაინტერესებულ პირებსა და ჯგუფებს სთავაზობს თემატურ და საგანმანათლებლო ექსკურსიებს შემუშავებულ მარშრუტზე.

განსაკუთრებით საინტერესო გახლდათ მკვლევარ ლელა გაფრინდაშვილის საუბრის თემა – „დემოკრატიული ღირებულებების ნაკვალევზე საქართველოში".

გამომსვლელის სურვილი იყო ეჩვენებინა თუ რამდენად თავსებადია ქართულ კულტურასთან დემოკრატიული ღირებულებები, რომელთა ნაკვალევი ავტორმა ლიტერატურასა და მე-19 საუკუნის ქართულ პრესაში გამართულ პოლემიკებში აღმოაჩინა. აღნიშნული პოლემიკები იმდროინდელ საზოგადო მოღვაწეთა შორის აქტიურად იმართებოდა ჩვენში დემოკრატიული ღირებულებების, ჰუმანიზმის და ლიბერალიზმის საკითხებთან დაკავშირებით. მე-19 საუკუნის ქართული ინტელიგენციის წარმომადგენლების: ილია ჭავჭავაძის, ვაჟა ფშაველას, სერგეი მესხის, ალექსანდრე ორბელიანის, დიმიტრი ბაქრაძის, ეკატერინე გაბაშვილის, არტურ ლაისტის, ბერტა ფონ ზუტნერის, მარჯორი უორდროპის ღვაწლზე საუბრისას გამომსვლელი შეეცადა წარმოეჩინა, რამდენად დიდი იყო მათი წვლილი დემოკრატიული ღირებულებების დანერგვასა და პოპულარიზაციაში საქართველოში.

წლის საუკეთესო პედაგოგთა დაჯილდოება

სამოქალაქო განათლების პედაგოგთა ფორუმის მიერ განხორციელებულ ღონისძიებათა შორის განსაკუთრებით დასამახსოვრებელი და ემოციურად დატვირთული **სამოქალაქო განათლების წლის საუკეთესო პედაგოგთა** დაჯილდოების ცერემონიალი აღმოჩნდა, რომელსაც წინ **თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ცენტრალური სამუსიკო სკოლის „ნიჭიერთა ათწლედის“ უმცროსკლასელთა ორკესტრის მცირე კონცერტი** უძღოდა. მოზარდებმა თავისი ნატიფი ხელოვნებით – კლასიკური მუსიკის საუკეთესო შესრულებით მოხიბლეს დარბაზი და დაჯილდოების ცერემონიალისთვის ჭეშმარიტად ამაღლებული, საზეიმო განწყობა შექმნეს. კონფერენციის დასასრულს ეს ყველაფერი ერთგვარ სასიამოვნო აკორდად და სიურპრიზად იქცა მონაწილეებისთვის. თუმცა სიურპრიზი იგი მხოლოდ გამარჯვებული პედაგოგებისთვის იყო, სინამდვილეში კი – ფორუმის ხელმძღვანელთა და სპეციალური ჟიურის საკმაოდ რთული, ხანგრძლივი მუშაობის შედეგი გახლდათ. საუკეთესო პედაგოგის ტიტულის მოსაპოვებლად გამოცხადებულ კონკურსში სამოქალაქო განათლების 68 პედაგოგმა წარადგინა თავი. ესენი ის ადამიანები არიან, ვინც პროგრამის მიმდინარეობის მანძილზე დადებითად წარმოჩინდა, ვისი მოსწავლეებიც აქტიურად არიან ჩართული კლუბურ საქმიანობაში, პროექტებში, პროგრამის ფარგლებში განხორციელებულ ღონისძიებებში. საკონკურსო მოთხოვნები საკმაოდ მკაცრი იყო. ზემოთ აღნიშნულის გარდა აპლიკანტებს უნდა აღეწერათ დამოუკიდებლად კიდევ რა სამუშაოები გასწიეს საკუთარი პროფესიული განვითარების კუთხით და წარმოედგინათ რეკომენდაციები პროგრამის გარეშე პირებისაგან, რათა მათი შეფასება ობიექტურად მომხდარიყო. ყველა აპლიკანტი თავისთავად საუკეთესო იყო, ამიტომ ჟიურის საკმაოდ საპასუხისმგებლო მისიის შესრულება მოუხდა, როცა საქართველოს მასშტაბით სამოქალაქო განათლების 68 რჩეული პედაგოგიდან მხოლოდ 9 დაასახელა, მათ შორის:

გურანდა შანიძე – ქუთაისის №30 საჯარო სკოლა (იმერეთი);

ნანა გადელია – ფოთის №5 საჯარო სკოლა (სამეგრელო);

ნინო ნადირაძე – ახალციხის №1 საჯარო სკოლა (სამცხე-ჯავახეთი);

მზია ბაუჟაძე – ბათუმის №6 საჯარო სკოლა (აჭარა);

ვლადიმერ აფხაზავა – სოფელ ჩიბათის საჯარო სკოლა (გურია);

მაკა ბიბილეიშვილი – თბილისის აკადემიკოს ილია ვეკუას სახელობის ფიზიკა-მათემატიკის №42 საჯარო სკოლა;

ნინო ციმაკურიძე – კაზრეთის №1 საჯარო სკოლა (ქვემო ქართლი);

მერი ბეჟუაშვილი – გორის №7 საჯარო სკოლა (შიდა ქართლი);

თეონა სუმბაძე – თელავის №9 საჯარო სკოლა (კახეთი).

ჟიურისავე გადაწყვეტილებით, სამ პედაგოგს განსაკუთრებული დამსახურებისათვის გადაეცა **რეგიონის წარმატებული პედაგოგის** სიგელები, კერძოდ:

ლიანა ღუღუნიშვილი – რუსთავის №15 საჯარო სკოლა (ქვემო ქართლი)

ნინო დოლიშვილი – მუხრანის №1 საჯარო სკოლა (მცხეთა-მთიანეთი)

თამარ ჩაფიჩაძე – ახალციხის №6 საჯარო სკოლა (სამცხე-ჯავახეთი).

სამოქალაქო განათლების პედაგოგთა ფორუმმა სამოქალაქო განათლებისა და პედაგოგთა გადამზადების პროგრამაში აქტიური მონაწილეობისათვის მადლობა გადაუხადა აგრეთვე და საპატიო სიგელით დააჯილდოვა **აჭარის სკოლა „გორდა“** და მისი აწ გარდაცვლილი **პედაგოგი ლიანა შეწირული**, რომელიც სიცოცხლეში უანგაროდ და მთელი გულით ემსახურა სამოქალაქო განათლების საქმეს და თვალსაჩინო წარმატებებსაც მიაღწია.

ყველა დაჯილდოებულ პედაგოგს კონფერენციაზე საზეიმოდ გადაეცა „სამოქალაქო განათლების წლის საუკეთესო პედაგოგის“ სპეციალური პრიზი და საჩუქარი – წიგნები არასამთავრობო ორგანიზაცია „სოვლაბისა“ და „კავკასიური სახლისაგან“.

„სამოქალაქო განათლების წლის საუკეთესო პედაგოგის“ დაჯილდოება ტრადიციად იქცევა და პრიზი ყოველწლიურად გადაეცემა წლის განმავლობაში საუკეთესოდ წარმოჩენილ სამოქალაქო განათლების მასწავლებლებს. ეს იქნება ერთგვარი მორალური და პროფესიული სტიმული საგნის ყველა პედაგოგისათვის, რათა ისინი კიდევ უფრო მეტი ენთუზიაზმით და დაინტერესებით მოეკიდონ თავიანთ საქმეს, სამოქალაქო განათლების საკითხებს, ხელი შეუწყონ აქტიური მოქალაქეების აღზრდას და დემოკრატიული ღირებულებების დამკვიდრებას საზოგადოებაში.

ტრენინგები დემოკრატიული მოქალაქეობის სწავლებისათვის

სამოქალაქო განათლების პედაგოგთა გადამზადების მიზნით კონსულტაციისა და ტრენინგის ცენტრმა CTC-იმ სპეციალური 50 საათიანი აკრედიტებული ტრენინგ-პროგრამა შეიმუშავა სახელწოდებით – „დემოკრატიული მოქალაქეობის სწავლება”.

2011 წლიდან ექვსდღიანი ტრენინგ-კურსის სახით იგი უკვე პროგრამის მონაწილე 430-მა პედაგოგმა გაიარა. 2012 წლის ივნისამდე კი ტრენინგ-კურსს კიდევ 310 პედაგოგი გაივლის, სულ გადამზადდება 740 პედაგოგი. ტრენინგ-პროგრამა დემოკრატიული მოქალაქეობის სწავლებაში სამოქალაქო განათლების თანამედროვე კონცეფციებს ეყრდნობა, იგი ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს და ეროვნული სასწავლო გეგმის სამოქალაქო აღზრდის საგნობრივ პროგრამას პასუხობს. ის სომხური და აზერბაიჯანული სკოლების მასწავლებლებისთვისაც არის გათვალისწინებული. აღნიშნული პროგრამის ფარგლებში პედაგოგთა გარდა გადამზადდებიან დირექტორებიც, რათა სკოლის დირექცია სათანადოდ იყოს ინფორმირებული სამოქალაქო განათლების სწავლების მნიშვნელობისა და ამ მიმართულებით სკოლის ადმინისტრაციის როლის შესახებ. სკოლის დირექტორებს ჩაუტარდათ სემინარები, რომელიც 500-ზე მეტმა დირექტორმა გაიარა. სემინარებში, საერთო ჯამში, 740 დირექტორი მიიღებს მონაწილეობას.

რაში ეხმარება მასწავლებლებს აღნიშნული ტრენინგ-პროგრამა?

ტრენინგ-პროგრამა პედაგოგებს ეხმარება სასწავლო პროცესის იმგვარად წარმართვაში, რომ მოსწავლეებმა შეძლონ მოქალაქეობის შესახებ თეორიული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება; ეხმარება აგრეთვე მონაწილეობაზე დამყარებული მიდგომების განხორციელებასა და შეფასებაში; საკუთარი პროფესიული შესაძლებლობების დამოუკიდებლად განვითარებაში; სამოქალაქო განათლების საერთაშორისო კონცეფციების გათავისებაში და თანამედროვე სწავლების მეთოდების ათვისებაში; სახელმძღვანელოებისა და დამხმარე სასწავლო მასალების ეფექტურად გამოყენებაში, ეროვნული სასწავლო გეგმით დასახული მიზნების მიღწევაში.

პედაგოგებისა და სკოლის დირექტორების გარდა პროგრამის ფარგლებში ტრენინგ-კურსს მოსწავლეებიც გადიან. განათლებას ისინი სოციალურ მედიაში იღებენ, რაც მათ ცოდნისა და უნარების ინტერნეტსივრცეში გამოვლენაში ეხმარება. ამისათვის არსებობს ფეისბუქის სპეციალური გვერდი **„სამოქალაქო ინიციატივები“**, რომელზეც

მოსწავლეთა ბლოგების კონკურსები და ვიქტორინები ცხადდება. მოზარდები აქტიურად მონაწილეობენ ამ კონკურსებში, გამარჯვებულები ჯილდოვდებიან. **სოციალური მედიის ტრენინგი** პროგრამის ფარგლებში 270-მა მოსწავლემ უკვე გაიარა, სულ კი 780 მოსწავლე და სამოქალაქო განათლების პედაგოგი დაეუფლება ამ ცოდნას. სამოქალაქო განათლებისა და პედაგოგთა გადამზადების პროგრამა მოსწავლეებისათვის **დებატებისა და საჯარო გამოსვლების** საკითხებზეც ითვალისწინებს სწავლებას, რასაც პროგრამის მონაწილე პარტნიორი სკოლების 150 მოსწავლე დაეუფლება.

რესურსები|წიგნები

განათლების და საზოგადოებრივი მეცნიერების სპეციალისტთაგან შემდგარმა ჯგუფმა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის სამოქალაქო განათლების სახელმძღვანელოთა დამხმარე ლიტერატურა შეიმუშავა, როგორიცაა: „როგორ გავხდე აქტიური მოქალაქე“, „მონაწილეობა სკოლის თვითმართველობაში“, „თანამშრომლობა საზოგადოებრივი სარგებლობისათვის“, „თანამშრომლობა ადგილობრივ ხელისუფლებასთან“.

თითოეული სახელმძღვანელო კომპლექტი ორი ნაწილისაგან – მოსწავლისა და მასწავლებლის წიგნებისაგან შედგება. თეორიული მასალის გარდა ამ სახელმძღვანელოებში უხვად არის პრაქტიკული სავარჯიშოები, თამაშები, გუნდური სამუშაოები თუ ინდივიდუალურად გასააზრებელი საკითხები, რაც მოსწავლეებს სამოქალაქო განათლების არსის გაგებასა და ცოდნის ათვისებაში ეხმარება. დამხმარე სახელმძღვანელოების დანერგვა პროგრამის პარტნიორ სკოლებში მიმდინარე წლის თებერვლიდან დაიწყო. აღნიშნული წიგნები მათ უფასოდ გადაეცემათ. სახელმძღვანელოები ითარგმნა სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზეც და მალე არაქართულენოვან სკოლებშიც შევა. სპეციალური დამხმარე ლიტერატურა შემუშავდა სასკოლო სამოქალაქო კლუბებისთვისაც – **„სასკოლო სამოქალაქო კლუბის სახელმძღვანელო“**, როგორც გზამკვლევი სამოქალაქო ინიციატივებისათვის.

სამოქალაქო განათლებისა და პედაგოგთა გადამზადების პროგრამის სხვა აქტივობები

- სამოქალაქო განათლებისა და პედაგოგთა გადამზადების პროგრამის ფარგლებში მიმდინარეობს მცირე გრანტების გაცემა მოსწავლეების, პედაგოგების, სკოლის ადმინისტრაციის წარმომადგენლებისა და მშობლებისათვის. უკვე გაცემულია 270 მცირე გრანტი, რომელიც ახალგაზრდების სათემო პრობლემების გადაჭრაში მონაწილეობასა და მათი ინიციატივების მხარდაჭერას ითვალისწინებს;

- პროგრამის ფარგლებში ასევე შექმნილია და ფუნქციონირებს 200 სასკოლო სამოქალაქო კლუბი. კლუბის წევრი მოსწავლეები ახორციელებენ საინტერესო პროექტებსა და ინიციატივებს საკუთარი სკოლის, თემის, სოფლის, დაბისა თუ ქალაქის საკეთილდღეოდ;

- ყოველწლიურად ლიდერი მოსწავლეები და პედაგოგები პროგრამის პარტნიორი სკოლებიდან მონაწილეობას იღებენ სამოქალაქო განათლების საზაფხულო ბანაკებში;

- საქართველოს განათლების რესურსცენტრებში პროგრამამ შექმნა სამოქალაქო განათლების ბიბლიოთეკები. სამოქალაქო განათლების პედაგოგთათვის საინტერესო ლიტერატურა უკვე ხელმისაწვდომია ზუგდიდის, ამბროლაურის, ოზურგეთის, ახალციხის, რუსთავის, გორის, დუშეთის, თელავისა და ბათუმის რესურსცენტრებში, ასევე თბილისში, გლდანში მდებარე მასწავლებლის სახლში.

რეკომენდაციები

სამოქალაქო განათლების პედაგოგთა ფორუმის პირველ გამოფენა-კონფერენციაზე მონაწილეთა მიერ სკოლებში სამოქალაქო განათლების სწავლებაში გამოვლენილი პრობლემები და რეკომენდაციები, როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, ფორუმის კომიტეტის წევრთა მსჯელობის საგანი გახდა. რეკომენდაციათა საერთო ჩამონათვალიდან განსაკუთრებით აქტუალური და რეალობაში განსახორციელებლად შესაძლებელი საკითხები ჯგუფური განხილვის

შედეგად გამოიკვეთა, დასაბუთდა, დაიხვეწა და მათი გადაჭრის გზები და საშუალებები დასახელდა. პრობლემათა შორის პედაგოგებმა უპირველესად მიიჩნიეს:

სამოქალაქო განათლების არასაკმარისი საათობრივი ბადე სკოლებში და ადმინისტრაციისა თუ პედაგოგების მხრიდან საგნისადმი არასათანადო, ზერელე დამოკიდებულება. პედაგოგთა უმრავლესობის აზრით, სამოქალაქო განათლება დაბალი კლასებიდანვე უნდა ისწავლებოდეს, არ უნდა იყოს წყვეტა სწავლებაში და სხვა ძირითადი საგნების გვერდით ცალკე, მნიშვნელოვან საგნად მოიაზრებოდეს. დღეს კი, ხშირ შემთხვევაში, მას სხვა საგნების პედაგოგთათვის დამატებითი საათების შესავსებად „იყენებენ“.

პრობლემის მოგვარების გზად კომიტეტის წევრებს საგნის აქტუალობის, მნიშვნელობის შესახებ სკოლის დირექტორთა უკეთ ინფორმირება ესახებათ. თვლიან, რომ საერთაშორისო და ადგილობრივმა არასამთავრობო ორგანიზაციებმა, მასწავლებელთა სახლმა, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ საგნის პოპულარიზაციის მიზნით მასტერკლასების, ტრენინგების, სხვადასხვა პროგრამის დახმარებით მხარი უნდა დაუჭირონ სამოქალაქო განათლების სწავლებას და კლუბების გააქტიურებას სკოლებში. თავის მხრივ საკუთარი საგნის პოპულარიზაციაზე უნდა იზრუნონ პედაგოგებმა. ბევრია დამოკიდებული მათ მიერ საგაკვეთილო პროცესის სწორად დაგეგმვაზე და ასათვისებელი თემის საინტერესოდ მიწოდებაზე. დიდი როლი ეკისრებათ აგრეთვე მშობლებს, რომელთა ინტერესი საგნის მიმართ, სამწუხაროდ, დაბალია. აუცილებელია მათი აქტიურად ჩართვა საკლუბო მუშაობაში, მცირე პროექტებში, რაც მშობლებს დაეხმარება საგნის მნიშვნელობის უკეთ გაცნობიერებაში და მისდამი მშობელთა დამოკიდებულებას დადებითად შეცვლის.

რაც შეეხება საათობრივ ბადეს, კომიტეტის წევრთა აზრით, საგანი მეშვიდე კლასიდან უნდა ისწავლებოდეს, არ უნდა იყოს წყვეტა სწავლებაში და გაიზარდოს საათობრივი განაკვეთი. ამ გზით ორმაგი შედეგი მიიღება: მასწავლებელი დაიტვირთება სამუშაო საათებით, იქნება უფრო მოტივირებული, ხარისხიან სწავლებაზე და შედეგებზე ორიენტირებული, ხოლო მოსწავლე ადრეული ასაკიდანვე გაითავისებს დემოკრატიული საზოგადოების მოქალაქისათვის საჭირო განათლებას და უნარ-ჩვევებს.

პრობლემა, რომელიც თავისი მნიშვნელობით ფორუმის კომიტეტის წევრებმა მეორე რიგად გამოყვეს, სამოქალაქო განათლების სახელმძღვანელოების და დამხმარე ლიტერატურის ხელმისაწვდომობის საკითხია. არსებულ სახელმძღვანელოებში ძირითადი საკითხები საერთაშორისო სამართლიდანაა, სწორად არ არის გადანაწილებული მასალები (მაგ, მეათე კლასის მასალა მეცხრე კლასთან შედარებით მარტივდება, მწირია); მასწავლებლებს არა აქვთ სახელმძღვანელო „მოქალაქეობა“, აქვთ მხოლოდ „სახელმწიფო“, რომელშიც მოქალაქეობის შესახებ საკითხები ნაკლებადაა გაშუქებული.

სამოქალაქო განათლების პედაგოგთა ფორუმის კომიტეტის წევრები თვლიან, რომ სახელმძღვანელოთა შედგენის პროცესში აქტიურად უნდა მონაწილეობდნენ პრაქტიკოსი პედაგოგები, რომელთა სასკოლო გამოცდილება და მოსაზრებები მნიშვნელოვანად წაადგება სახელმძღვანელოთა სრულყოფის და დახვეწის საქმეს; ამავე მიზნით წიგნებში უნდა გაიზარდოს პრაქტიკული აქტივობების რიცხვი, რაც საგნისადმი ინტერესს და მოტივაციას გაზრდის და მასალის უკეთ გაცნობიერებასა და ათვისებაში დაეხმარება მოსწავლეებს;

პედაგოგებს სახელმძღვანელოს შერჩევისას მისი წინასწარ გაცნობის შესაძლებლობა უნდა ჰქონდეთ (თემებისა და საკითხების გაცნობა, შეფასება და შერჩევა-დაგეგმვა); არაქართულენოვან რეგიონებში უნდა შემუშავდეს ქართულ სკოლებთან თანამშრომლობის ფორმები, მოხდეს ამ კონტიგენტის მასწავლებელთა გადამზადება და მოხალისეთა ხელშეწყობა;

სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე სრულყოფილად ითარგმნოს სახელმძღვანელოები, გარკვეული ინტენსივობით უნდა ითარგმნებოდეს აგრეთვე ცალკეული თემები. რაც შეეხება დამხმარე სახელმძღვანელოებს, ამ მხრივ პრობლემას აგვარებს სამოქალაქო განათლებისა და პედაგოგთა გადამზადების პროგრამის ფარგლებში შექმნილი წიგნები, რომლებიც პროგრამის პარტნიორმა სკოლებმა უსასყიდლოდ მიიღეს. თუმცა ეს სახელმძღვანელოები მხოლოდ პროგრამის პარტნიორი სკოლებისათვის არის ხელმისაწვდომი.

შემდეგი საკითხი, რომელიც განხილვისას გამოიკვეთა, არის საგნის სწავლებისათვის საჭირო რესურსები, რომლითაც სკოლა სათანადოდ ვერ უზრუნველყოფს პედაგოგებს. ხშირ შემთხვევაში სასკოლო სამოქალაქო კლუბებს არა აქვთ საკუთარი კაბინეტი, ტექნიკური აღჭურვილობა, რასაც პედაგოგი სამოქალაქო განათლების გაკვეთილზეც გამოიყენებს და რაც საგნის ხარისხიანი სწავლებისთვის ზოგადად საკმაოდ მნიშვნელოვანი ფაქტორია.

პრობლემის გადაჭრის გზად ფორუმის კომიტეტის წევრებს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ ბიუჯეტში საამისოდ საჭირო თანხების გათვალისწინება მიაჩნიათ.

რეკომენდაციათა შორის მნიშვნელოვნად დასახელდა სამოქალაქო განათლების მასწავლებელთა სასერთიფიკაციო გამოცდების პროგრამის სრულყოფაც. ძირითადი საკითხები ეხება ეკონომიკას, სამართალმცოდნეობას, ისტორიას. კომიტეტის წევრთა აზრით, საჭიროა მასზე სამოქალაქო განათლების სპეციალისტებმა იმუშაონ.

მნიშვნელოვანია აგრეთვე ადგილობრივ თვითმმართველობებთან თანამშრომლობის საკითხი. პედაგოგების აზრით, ამაში მთავარი როლი ეკისრება სკოლას. იგი უნდა იყოს ამ ურთიერთობისთვის გახსნილი და მონდომებული, რაც პედაგოგებისათვის იქნება გარკვეული სტიმული მუშაობაში, გაუადვილებს მათ კონტაქტს ადგილობრივ ხელისუფლებასთან და ერთობლივი ღონისძიებების ჩატარების, პრაქტიკულ აქტივობებში მათი ჩართვის შესაძლებლობას მისცემს. ამისათვის საჭიროა შეირჩნენ აქტიური პედაგოგები, რომლებიც თეორიული მასალის პრაქტიკულად გამოყენებას შეძლებენ და ამ შრომისათვის ისინი შესაბამისად წახალისდებიან კიდეც – პრემიების თუ ჯილდოების სახით.

სამოქალაქო განათლების პედაგოგთა ფორუმის კომიტეტის სხდომაზე კიდევ არაერთი საკითხი გამოიკვეთა, რომლებიც მასწავლებელთა აზრით, ამჯერად ნაკლებმნიშვნელოვანია. მაგალითად, მათ პრობლემად არ მიაჩნიათ ის, რომ სამოქალაქო განათლებას სკოლებში სხვადასხვა საგნის პედაგოგები ასწავლიან. მთავარია, ჰქონდეთ პროფესიული განათლება და სამოქალაქო განათლების საკითხებში გადიოდნენ ტრენინგებს;

ახლო პერსპექტივაში არც უცხო ენის სწავლებას თვლიან აუცილებლად. საჭირო ლიტერატურა და მასალები ამ ეტაპზე ქართულ ენაზეცაა ხელმისაწვდომი;

იგივე ითქვა პედაგოგთა გაცვლით პროგრამაზეც. მართალია, ძალიან სასურველია, რომ ქართველი პედაგოგები სამოქალაქო განათლების სწავლების უცხოურ პრაქტიკას ეცნობოდნენ, მაგრამ ჯერჯერობით ასათვისებელი და დასანერგი სამოქალაქო განათლების სწავლების კუთხით ჩვენშიც საკმაოდ ბევრია. ამიტომ ეს საკითხიც სადღეისო პრობლემად არ იქნა მიჩნეული.

რეკომენდაციები განხილვისათვის გადაეცა სამოქალაქო განათლებისა და პედაგოგთა გადამზადების პროგრამას. მისი მეშვეობით აღნიშნულ რეკომენდაციებს შესაბამისი ორგანოები მიიღებენ.

რედაქტორის გვერდი | ვსწავლობთ და ვასწავლით

სწორედ ესაა სამოქალაქო განათლებისა და პედაგოგთა გადამზადების პროგრამის (ACETT) პასუხი სფეროში არსებულ გამოწვევაზე. რამდენად ვართ მზად ჩვენ?

დემოკრატიული სახელმწიფოს შენების ამბიცია მხოლოდ იმ საზოგადოებას შეიძლება ჰქონდეს, რომელიც მეტ-ნაკლებად მზად არის ამისთვის. დემოკრატიული ღირებულებები საქართველოში არასოდეს იყო უცხო. თუმცა ისტორიის გარკვეულ ეტაპებზე ამის გამოვლენა და რეალიზება რთულდებოდა.

დღეს, როცა ვაღიარებთ, რომ ჩვენ თავად ვქმნით მომავალს – ვსწავლობთ და ვასწავლით. ვსწავლობთ იმათგან, ვისთვისაც ღირებულებები უმნიშვნელოვანესი ფასეულობაა, ვასწავლით იმას, ვინც გვინდა, რომ ეს ღირებულებები დაიცვას და დაამკვიდროს.

როგორ გავაკეთოთ ეს? როგორ მივაღწიოთ საზოგადოებრივად აქტიური, სოციალურად ქმედითი, უსამართლობისა და გულგრილობისადმი შეუწყნარებელი, მაღალი მოქალაქეობრივი თვითშეგნების მქონე ადამიანების საზოგადოებას, რომელიც შეძლებს გააცნობიეროს, რომ განვითარება და პროგრესი, უპირველესად, ჩვენს მოქალაქეობრივ სიფხიზლეზე, აქტიურობაზე, ყოველდღიურ ცხოვრებაში ამის გამოვლენაზეა დამოკიდებული და თუ გვინდა მომავალი უკეთესობისაკენ შევცვალოთ, ეს უნდა გავაკეთოთ თავად.

ეს არის თვისებები და პიროვნული უნარები, რომლის განვითარება და ჩამოყალიბება ადრეული ასაკიდანვე უნდა ხდებოდეს. ადრეული ასაკიდანვე უნდა დაიწყოს სწავლება იმის, თუ როგორ ვიფიქროთ და ვიმოქმედოთ საზოგადო ინტერესებით, გავიზიაროთ და მონაწილეობა მივიღოთ ჩვენს ირგვლივ არსებული გარემოს ფორმირებაში, შეგვეძლოს გუნდური მუშაობა და დასახული კონკრეტული მიზნების მისაღწევად საჭირო ქმედებების განხორციელება. ეს არის გარკვეული მოქალაქეობრივი კულტურა, საზოგადო ცხოვრების წესი და, რაც მთავარია, ცოდნა, განათლება, რომლის ათვისებაც ისევეა საჭირო, როგორც სხვა სასწავლო დისციპლინებისა სკოლაში. ამ დისციპლინას ჩვენში სამოქალაქო განათლება ჰქვია და უკვე ექვსი წელია დაინერგა ზოგადსაგანმანათლებლო სწავლების სისტემაში. მაგრამ როგორც ყველა სიახლეს, გარკვეული პრობლემები ახლავს მასაც, ამიტომ საგანმათლებლო სტრუქტურებისაგან და საზოგადოებისაგან მხარდაჭერას და თანადგომას მოითხოვს. საქართველოს განათლების და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილი ეროვნული სასწავლო გეგმის ფარგლებში საგნის სათანადო სწავლებისათვის მთელი რიგი ღონისძიებები უკვე განხორციელდა, დისციპლინის ფორმირება მიმდინარეობს კვლავაც. ამის პარალელურად კი სასკოლო სამოქალაქო განათლების ხარისხის ამაღლებისა და დემოკრატიულ პროცესებში ახალგაზრდების ჩართვის მიზნით თავის მხრივ აქტიურად იღწვის არასამთავრობო სექტორი.

ვინ ასწავლის სამოქალაქო განათლებას სკოლებში დღეს?

დღეისათვის სამოქალაქო განათლებას, ძირითადად, ისტორიის მასწავლებლები ასწავლიან. ისინი, რა თქმა უნდა, თავიანთი პროფილით საკმაოდ ახლოს არიან საზოგადოების განვითარების და სამოქალაქო ცნობიერების საკითხებთან, მაგრამ არ არიან სამოქალაქო განათლების სპეციალისტები. ასეთი კლასიფიკაცია ჩვენს პედაგოგიკაში ჯერ არც არსებობს, მაგრამ თუკი არის საგანი, საჭიროა პედაგოგიც, რომელიც ორიენტირებული იქნება სწორედ იმ მეთოდებზე და სწავლების მოთხოვნებზე, საზოგადოებრივად აქტიური და განათლებული მოქალაქეების აღზრდას რომ უწყობს ხელს. და რადგან ასე უცებ ამგვარი სპეციალობის კონტიგენტის გაჩენა სკოლებში ძნელია, სამოქალაქო განათლების პედაგოგთა გადამზადების სპეციალური პროგრამაც სწორედ ამ მიზნით დაიწყო. მას, როგორც აღვნიშნეთ, **2010 წლის ივლისიდან ახორციელებს ორგანიზაცია PH International კონსულტაციისა და ტრენინგის ცენტრთან (CTC) პარტნიორობით. პროგრამა ფინანსდება აშშ საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) მიერ. პროგრამა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მხარდაჭერით ხორციელდება.**

სამოქალაქო განათლების პედაგოგთა ფორუმის კომიტეტის შემადგენლობა:

ფორუმის კომიტეტის შეხვედრაზე დასახელდნენ სამოქალაქო განათლების პედაგოგთა ფორუმის კომიტეტის წევრები, რომლებიც ამავდროულად ფორუმის რეგიონალური კოორდინატორების ფუნქციას შეითავსებენ. ესენი გახლავთ:

მაკა ბიბილეიშვილი – თბილისი;
ხათუნა თოთლაძე – თბილისი;
გიორგი გახელაძე – თბილისი;
ნინო ბესელია – თბილისი;
თეა ტაბატაძე – ქვემო ქართლი / რუსთავი;
შორენა ხმალაძე – სამცხე ჯავახეთი / ახალციხე;
ლიანა ლულუნიშვილი – ქვემო ქართლი / რუსთავი;
მადლენა შველიძე – თბილისი;
მაია გოგოლაძე – გურია / ჩოხატაური;
ლელა წურწუმია – შიდა ქართლი / გორი;
სოფიო მურუსიძე – იმერეთი / ქუთაისი;
ნინო დოლიშვილი – მცხეთა-მთიანეთი / მუხრანი;
ქეთევან თომაძე – რაჭა / ამბროლაური;
თამარ ჯანელიძე – აჭარა / ბათუმი;
მაგდალინა თოდუა – სამეგრელო-ზემო სვანეთი / ზუგდიდი;
ზეინაბ კაკალაშვილი – კახეთი / თელავი.

სამოქალაქო განათლების პედაგოგთა ფორუმის კოორდინატორია საქართველოს ზრდასრულთა განათლების ასოციაციის აღმასრულებელი დირექტორი თეა გულუა.

მოგვწერეთ თქვენი მოსაზრებები, შეხედულებები, გაგვიზიარეთ საკუთარი გამოცდილება და საქმიანობაში მიღწეული წარმატებები მისამართზე:

თბილისი, ოთარ ჩხეიძის 5
(ყოფილი: ალ. ყაზბეგის 34/4)
ტელეფონი: 220 67 74

ელ-ფოსტა: civics@ctc.org.ge
www.civics.ge

გამოცემის რედაქტორი: რიტა ბაინდურაშვილი
დიზაინი: შოთა კოსოვი

საინფორმაციო ბიულეტენი მომზადდა **ამერიკელი ხალხის მხარდაჭერისა** და **ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს** ძალისხმევის საფუძველზე. ერთპიროვნული პასუხისმგებლობა მოცემულ ბიულეტენში ასახული ინფორმაციისა და მასში გამოთქმული მოსაზრებების თაობაზე ეკისრება **კონსულტაციისა და ტრენინგის ცენტრს** და ის არ წარმოადგენს ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოსა ან ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის შეხედულებებს.

თბილისი 2012 © CTC